№ 206 სექტემბერი 28, შაბათი 1891 სექტემბერი 28, შაბათი № 206

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკეთებად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თბილისში რედაქციას, ტუალეტში, ავშვალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თბილისელ ბერ-ბერ ინსტიტუტის სახლებში: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სხვა ადგილებში ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ძმანი განსვენებულის პოეტის

თავადის ალია ბურიელისა

ჯამბაკურ, ვახტანგ, ტელემაკ, და ვარდენ ბურიელნი ამით აუწყებენ ყველა ნათესავთა, ნაცნობთა და მისის ნიჭის პატივისმცემელთ, რომ კვირას, 29 ამ ენკენისთვეს, მისის გარდაცვალების მეორმოცე დღეს, დანიშნულია წირვა და პანაშვიდი წმიდა გიორგის ეკკლესიაში ქალ. ქუთაისში. (2—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ ამ გამგეობის განცყალრებაში ხელის მოწერაა გამართული და იდებენ შეწირულებას განსაცხლებლად ბელის ტაძრისა ბორის მაზრის სოფელს მეტეხში. შეწირულებას იდებენ ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (5—1)

შემოწირულებანი იმ მკვიდრთათვის, რომელნიც დაზარალდნენ მოუსავლობის გამო, მიიღება რუსეთის წითელის ჯვრის კავკასიის მმართველობის ხაზინადარის დეინტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ბულინის მიერ ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტის განცყალრებაში, ყოველ-დღე, დილის 10 საათიდამ 2 საათამდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა. ყველა ეს შეწირულებანი, ხაზოგადოების მოამავრსამმართველოს განკარგულებისამებრ, გაეგზავნება სარატოვის ადგილობრივს მართველობას, რომელმაც უნდა შეადგინოს წითელის ჯვრის მზრუნველობა ადმინისტრაციისა და სამედიცინოების მონაწილეობით. ამ მზრუნველობის ვალია, გაუწიოს დახმარება გაჭირვებულსა და დაშეულს ხალხს იმ წესით, რა წესითაც უფრო მოსახერხებელი იქნება, ხოლო ეს წესები უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივვე შემუშავებულს და მოაზრებულს ჭეშმარიტს.

(5—5)

ფელეტონი

ქვეყნიერობის მოშორებით

კომედია ოთხ მოქმედებად

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 205)

მესამე მოქმედება

(სცენა წარმოადგენს ოთახს კლუბში, აქა-იქ სტოლები და სკამები)

I გამოსვლა

ლადო და სუსანა შეიალი—სტოდოლნა სხვანი

ლადო. (სასიხარულოს) მე დიდხანს აქ ყოფილა არ შამიძლიან, მამაჩემი ძებნას დამიწყებს.

სეხნ. ეხლავე მოგახსენებ. ლადო, შენზე ვარ დამოკიდებული: შეგიძლიან, ერთი სიტყვის თქმით მურაზს მიმაწოო.

ლადო. ბძანეთ.

სეხნ. მე მოვიწადინე ეხლა ცოლის შერთვა; იქნება შემატყე კიდევაც, გული მაროზე მაქვს შეკვრილი. რასაკვირველია, მე თითონაც შემეძლო, მეთქო ვაროსათვის, მაგრამ ხომ მოგეხსენება, რა რეგვენი ბა სარატოვის ადგილობრივს მართველობას, რომელმაც უნდა შეადგინოს წითელის ჯვრის მზრუნველობა ადმინისტრაციისა და სამედიცინოების მონაწილეობით. ამ მზრუნველობის ვალია, გაუწიოს დახმარება გაჭირვებულსა და დაშეულს ხალხს იმ წესით, რა წესითაც უფრო მოსახერხებელი იქნება, ხოლო ეს წესები უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივვე შემუშავებულს და მოაზრებულს ჭეშმარიტს.

(5—5)

ახალი ამბავი

*** როგორც უკვე გამოცხადებული გვქონდა ჩვენს გაზეთში, გუშინწინ, ამ თვეის 25-ს, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე მწირველი ბრძანდებოდა კრებულითურთ ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ეკკლესიაში. წირვის შემდეგ პარაკლისი გარდიხადეს და აიაზმის წყლით ასხურეს ახლად მიშენებული და გადაკეთებული ოთახები ამ სასწავლებლისა. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმ დღეს სადილად სასულიერო სასწავლებელშივე მიიწვიეს.

*** ტფილისში მცხოვრებ მალაკნებს ერთი ძალიან კარგი და სასარგებლო აზრი მოსვლიათ და აუსრულებიათ კიდეც. იმათ დააარსეს თავისთვის უფასო წიგნთ-საკითხავი. აი როგორ მოსვლიათ ფიქრად მალაკნებს ეს აზრი:

1888 წელს ტფილისში მასწავლებელ-ქალთა საზოგადოებამ მიხეილის ქუჩაზე გაჰმართა იაფ ფასიანი ბიბლიოთეკა, თითეში სულ ერთი აბაზი იყო დადებული წიგნების საკითხავად. ამას გარდა მასწავლებელმა ქალებმა გაჰმართეს საკვირაო სკოლა, სადაც მომეტებულად მალაკნების პატარა ქალები დაიარებოდნენ. რაკი წერა-კითხვა ისწავლეს, ბავშვები იაფ ფასიანს ბიბლიოთეკასაც მიეტანენ, თვითონ იღებდნენ წიგნებს და დედ-მამასაც აკითხებდნენ. ამ გვარად პატარა ბავშვებმა შეაჩვიეს დიდებიც წიგნის კითხვას და შეაყვარეს კიდეც.

რაკი მალაკნებმა დაინახეს ბიბლიოთეკის სარგებლობა, განიზრახეს დაეარსებინათ წიგნთ-საკითხავი საკუკვიცი მოგვართო, რომ მასკვლავებს ეთამაშებოდეს.

ლადო. რათ გინდათ ასეთი ჯეელი ცოლი? უმჯობესი არ იქნებოდა, ერთი ოც-და-ათისა, ოც-და-თხუთმეტი წლის ქალი შაგერთოთ, თორემ ბალღმა რა მეუღლეობა უნდა გაგიწიოს?

სეხნ. რას ამობ? ოც-და-ათი წლის დედაკაცი დამყვებაული ცომია: საცა ხელს მოსჭიდებ, ხეთი თითი ზედ დეეტყობა. ახალგაზდა-კი რეზინივით არი. რას ამობ, ჯეელს რა შეედრება? აბა, მიირთვი ღვინო. (დაუსხამს)

ლადო. აკი მოგახსენე, ღვინის მსმელი არა ვარ-მეთქი.

სეხნ. ცოტ-ცოტა მიირთვი; ორივე ბოთლი მე გამოვეურე. ღმერთმა აცოცხლოს ჩემი მამავალი საბედო! (ჩაის სტაქნთ სეხნს) დალიე!

ლადო. დაჩვეული არ გახლავარ. (შესრუტავს)

სეხნ. თუ არა ხარ დაჩვეული, თავს ძალას ნუ დაატან. ბეტერბურგში იყავი არა? ამბობენ, იქ ქალების ოხრობაოო,—შენც ხო რას გაუშვებდი! ვიცი, შვილოსან,—ოოო, მუზმუზელა ხარ!

ლადო. უკაცრაოთ, ეხლა დრო მაქვს წასვლისა, მამაჩემი, მგონია, დამეძებს.

სეხნ. არა უშავს-რა, აქ მოვა—დაჯე! ძალიან მოწყენილი იქნები—აი: სად არი ამ ოხერში დროს გასატარებელი ადგილი?.. ხანდახან სოფელში თუ გააყოლებ გულსა, თორე თუნდ მოლოსნაზედ შედი. აბა მიირთვი! (თითონაც სვამს). ვისაც დაკვირვება უყვარს, ბევრს საინტერესოსა ნახამს სოფელში. ამბობენ, აქა რჩებია: სოფელი არამც და არამც არ დაიგიწყო; თუ რასმე გამორჩები, იქ გაკორჩები, თორემ აქ ხეირს ვერა ნახამ. მეც უფრო სოფელს ვეტანები; სოფელიც ისე მეტანება, ასე მგონია, ჩემს მეტი ადეკატი ქვეყანაზე გაწყვეტილაო. ღვთის წინაშეც, ერთი საქმე არ წამიგია ჩემს დღეში. რამდენჯერ გამითეთრებია იმისთანა პადლოგი, რისთვისაც ციმბირს იქითა გზავნიან!

ლადო. მერე სვინიდისი დამშვიდებული გაქვთ?

სეხნ. სვინიდისი! შენ წესიერად ვერ გესმის, თუ რა არი სვინიდისი? ეხლა რომ გავიდე შარა გზაზე, ვინთრიე თავიანთთვის. ამ განზრახვაში ხელი შეუწყეს და დახმარება აღმოუჩინეს იმავე მასწავლებელმა ქალებმა: უსასყიდლოდ დაუთმეს შკაფი და წიგნები.

თვით მასწავლებელ ქალებისაგან დაარსებული იაფ ფასიან ბიბლიოთეკის საქმე ვერ მიდის რიგიანად საზოგადოების გულ-გრილობის გამო.

ბიბლიოთეკას შეუძლიან ახალი წიგნები შეიძინოს, ძველები შეაკეთოს, ჟურნალ-გაზეთები დაიკვეთოს და დაიბეჭროს მხოლოდ მაშინ, თუ 1500 ხელის-მომწერი ეყოლება. პირველ საანგარიშო წელს-კი ბიბლიოთეკას ჰყოლია მხოლოდ 680 და წელს 800 ხელის-მომწერი ჰყავს. წელიწადში თექვსმეტი თუმანი შემოსავალი! საკვირველია, რომ ამოდენა ქალაქი, როგორიც არის ტფილისი, ხელს არ უმართავს ამ მშვენიერსა და სასარგებლო საქმეს?!..

*** ხუთშაბათს, 26 ენკენისთვეს, საზაფხულო თეატრში სომხური წარმოდგენა იყო. წარმოადგინეს მოლიერის კომედია „ტარტიუფი“. ხალხი ბლომად დაესწრო და წარმოდგენამაც რიგიანად ჩაიარა.

ძლიერ კარგად ასრულეს თავიანთი როლები ქ-ნმა ვარდუმ (დორინა) და ბ-ნმა ვრეინმა. ტარიანი ძლიერ კარგი „ტარტიუფი“ იქნებოდა, რომ ალაგ-ალაგ ცოტა არ გადაეჭარბებინა.

*** ტფილისში საკომერციო სასწავლებლის დასაარსებლად ამ ჟამად 55,000 მანეთია უკვე შეგროვილი. ამის გამო ქალაქის ვაჭართა საერთო კრებამ, რომელიც ამ დღეებში მოხდება, უნდა განიხილოს საქმე ამ სკოლის მოკლე ხანში დაარსებისა.

*** ამ მოკლე ხანს ბაქოში მიელიან გაუწერელ გარდასახადთა დეპარტამენტის დირექტორს ბ-ს ერმოლოვს და სამთო ინსტიტუტის პროფესორს ბ-ნს ლისენკოს.

*** ამ თვეის 26 ივლაბარში ახალგაზდა ქალმა მარიამ ო—ვისამ თავი მოიწამლა წუმწუმით. დედამთილმა ჩქარა შეიტყო ეს ამბავი, მკურნალი მოიწვია და სიკვდილისაგან დაიხსნა: მიზეზი თავის მოწამლისა სიყვარული ყოფილა. ამ ქალს თურმე სხვა ჰყვარებია, მაგრამ დედ-მამას-კი სხვა კაცისთვის მიუთხოვებიათ, იმ კაცისთვის, რომელიც ეჯავრებოდა თურმე.

*** ამ თვეის 22-დამ 26-დე ტფილისზე რკინის გზით სხვა-და-სხვა სადგურიდამ 67 ვაგონი ხორბალი და 80 ვაგონი სიმინდი გაატარეს ბაქოში. იქიდგან ხორბალს და სიმინდს შუაგულს რუსეთში გაჰგზავნიან მოუსავლობით დიზარალებულს გუბერნიებში.

*** ახალს გზაზედ, სადგურს წიფასა და ბეკათუბანს შუა, ამ დღეებში გასასინჯად გამოიყვანეს ორ-ლულიანი ორთქლ-მავალი. რკინის გზის ლიანდაგის მმართველებმა უბრძანეს მემაშინეებს, რაც-კი შეიძლება ძლიერ ჩქარა უნდა გაიობინონ ხიდებზედაო. მემაშინემ, ბრძანება აღასრულა, მაგრამ აი რა მოხდა: სადგურს ბეკათუბანს აქეთ პირველს ხიდზედ გავიდნენ თუ არა, დაღმართის მიზეზით ორთქლ-მავალი ვეღარ შეიკავეს. ახლოს გაჩერებული იყო მომუშავე ორთქლ-მავალი თავისის მუშა ვაგონებითა. გაკანებული ორ-ლულიანი ორთქლ-მავალი დაეჯახა ვაგონებსა და სამი ვაგონი სრულიად დაამტვრია. ამ მოკლე და გავცარცო, უსინდისობა მაშინ იქნება, თორემ აბა უსინდისობა რა იქნება, რომ მე ჩემი ქკვა ხერხიანად მოვიხმარო? სხვანირად რომ მიიქცე, ყველა სულელს დაგიძახებს. სადაური ქკვა იქნება?

ლადო. უკაცრაოთ, უნდა წავიდე...

სეხნ. არა, არ გაგიშვებ, დაბძანდი. ერთი კარგი რამ უნდა გიამბო. (სასმს) შარშან წინ ერთმა ოცი წლის აზნაურშვილის ქკრიმა—სულ სამი კვირა იყო, რაც ქმარი მოჰკდომოდა,—დამიბარა; მიშველე რამ, ჩემმა მაზლმა სახლში აღარა გაუშორო. მეც ავდექი, წაველი, შუადამისას მივადექ. დავარაკუნე კარი.—ვინა ხარო?—ადვაკატი გახლავარ-მეთქი.—უკაცრაოთ, შენი ჭირიმე, დუქანში მიბძანდი, შინ არავინ არ არიო.—რა ქალია!—მეშურება, ეხლავ უკან უნდა დაბრუნდე-მეთქი; თუ ეხლავ არა, ორ თვეზე ადრე მოკლა აღარ მექნება-მეთქი.—ჩაიცვა და გამიღო.—რო გენახა, რა ლამაზი იყო!—ჩავკეტე კარგათ კარი.—შენი ჭირიმე, უნდა მოგახსენოო... მაგრამ სად ვიქნებოდი ყურის გდე-

რამაც არი, ყურს-კი დამიგდებს? შენკი გაგიგონებს: რომ უთხრა, წყალში გადავარდიო, გადავარდება.

ლადო. რომ შემეძლოს კიდევაც, წყალში როგორ გადავგდო?

სეხნ. შენგან არ მიკვირს,—წყალში გადაგდება იქნება ჩემს ხელში ჩავარდნა? რომელი დედა არ ინატრებს ჩემს სიძობას?

ლადო. ამისთანა საქმეში რჩევა შეუძლებელია,—მთლად ქალის გუნებაზეა დამოკიდებული.

სეხნ. კარგი, ნუ ურჩევ; შენ მხოლოდ ის ჩაგონე, რომ ჩემისთანა საქრმოს ვერასად ვერ იშოვნის ობოლი ქალი: სახლები მაქვს, დუქნები მაქვს, ზვრები მაქვს,—თუ უნდა, ფორტოპიანსაც უყიდი.

ლადო. გადავცემ თქვენს სიტყვებს, რჩევით-კი ვერას ვურჩევ.

სეხნ. აკი გითხარი: შენ შენის მხრით მხოლოდ ის ჩაგონე, რომ ჩემისთანა ქმარს ვეღარ იშოვნის; თუ ჭკვა არი, ხელიდამ ნუ გაუშვებს... ესე რაღა...

ლადო. რაც საჭირო იქნება, ვეტყვი...

სეხნ. თუ საქმე მოხერხდა, ისეთი

სხვრია. ორთქლ - მავალებს დაემტერაათ წინა ნაწილები, მხოლოდ ხალხი-კი უვნებლად დარჩა. ხიდმა დაიწვა.

*** ამ თთვის ოცდა შვიდს ვილაცა სინიდისზე ხელ აღებულმა სადგურის ქარელის მახლობლად დამის პირველს საათზე ცეცხლი გაუჩინა რამდენსამე ალაგას შემოგროვილს, დაზეინულს თივას და სულ ერთიანად გადაუფა. თივა ყოფილა ვაჭარის ტრაპაიძისა. ეს კაცი რამდენიმე თვეა აგროვებდა თურმე თივას, მერმე უნდოდა გაეგზავნა რკინის გზით ბათუმსა, ფოთსა, ტფილისსა და სხვა ადგილებში. ზარალი 80 თუმანზე მეტი მოუვიდა ტრაპაიძეს.

*** 22 ამ თთვისას ნ. ესებუამ ჭიდაობა გამართა ქალაქს ბათუმში და ერთი მეათედი ნაწილი წმინდა შემოსავლისა შესწირა მოუსავლობით დაზარალებულს ხალხს რუსეთის შიდაგუბერნიებისას—სულ 25 მ. 29-ს ამავე თთვისას ბათუმშივე გამართავს ჭიდაობას ნ. ესებუა და მეათედი ნაწილი შემოსავლისა გადაიდება ბათუმის ერთ-ერთის სასწავლებლისათვის. ბ-ნი ესებუა ამ ერთის თვის განმავლობაშივე გამართავს ჭიდაობას და იმ ჭიდაობის შემოსავლის ნახევარი შეუძლებელს ქართველს სტუდენტებს მიეცემათ. მუდმივ საჭიდაოდ ბ-ნს ესებუას ბათუმში, საბურთაო მინდორზე, ალაგი შემოუფარგლავს და მოუწყვია.

*** სოფ. ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ (ᲨᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲐ): ამ ტამად აქ მძვინვარებს მუცელა და ხალხს მუსრს ავლებს. თითქმის მთელს სოფელს მოედვა და მშველელი-კი ჯერ არსაიდამ გაგვჩენია. დ. სარხეიდგან ექიმის მოყვანა ძალიან უძნელდება ხალხს, რადგანაც ძალიან ძვირად ჯდება. ავადმყოფის ექიმთან წაყვანა ყოველდ შეუძლებელია; ჯერ გზაზედ სხვებსაც გადაედება და, ესეც რომ არ იყოს, ხომ იცით მუცელა ყველა სახადზედ უარესია?

*** ქართლი: შეგვაწუხეს ქურდობით ოსებმა; ერთის სიტყვით გაბის გუნებაზე, საქმე არა გაქვს?..

ლადო. (წამოიწევს). არ შემიძლიან...

სეხ. მაითმინე, შენთან საქმე მაქვს; დაჯე! (დასვამს, ლადო ეურების დაიცოსს).—აგე, მაამბოტებს ორთავე ვირი.

II გამოსვლა

ოგანიკე და ბაელა

ბაელა. აქა ხარ, ლადო,—დაგეძებ მთელი დილა. ერთი სათხოვნელი მაქვს შენთან,—თუ არ ამისრულებ, გირჩევნია ტყეია მამარტყა და მამკლა.

ლადო. ბძანეთ.

ბაელა. წამო, გავიაროთ, საიდუმლო საქმეა.

სეხნ. რა ამბავია,—ისეთი საიდუმლოა, რო ჩემთან არ ითქმება?

ბაელა. არა, არ ვიტყვი,—მერე გეტყვი, ლადო.

ლადო. (წამოდგება) უკაცრაოთ, მე სახლში მეშურება...

სეხნ. ცოტა მაითმინე, შენი ჭირიმე (დასჯდამს). ყეციანო, იქნება არ გაგიგია, რო ცოლს ვირთამ?

ბაელა. ვისა?

სეხნ. იმისთანა ქალსა, რომ თავლები გიბრმავდებოდეს შურისაგან.

ლადოს უნდა დაუნათესავდე.

ბაელა. ვიროს ირთამ?

სეხნ. ნამდვილად. გეწყინა?

ლადო. გთხოვთ, უბრალოდ ნუ იხსენებთ ვაროს, თორე ძლიერ მაწყენებთ და ერთ წამსაც არ დავრჩები აქა.

ბაელა. შენ? შენ? გიჟია, შენ მოგთხოვდეს,—ბებერს, მაშინაკს, ჰარამზადასა?

სეხნ. როგორ მიბედამ, შე ლაწირაკო? მამა შენი-კი ნუ გგონივარ, ისე მიგბერტყო, რო კამეჩი ღვდელი გეგონოს.

ბაელა. გამო რაღა, დაგახრჩო, შე რაზბონიკო, შენა; გამო რაღა!

სეხნ. კრივის გუნებაზე ხარ; ვიკადრებ-კი ჩემი წმინდა ხელები შენ დაუბანელ სახეზე გავსვარო? ისე აგაჭრელო აი ამ ჯოხით, რო დათვის მუცელა დაგემართოს! გასწი, დაიკარგე, შე გაფუტებულო!

ლადო. სირცხვილია, დაწყნარდით!

სეხნ. არა, რა ბიჭია-და! ამ ლაწირაკს ეგონა, რო ვარო მაგისთვინა კვდებოდა? აი გახმი, გახმი, ვირის თავო!

ბაელა. ვირის თავიცა ხარ, ჯორის ჩანაგეს საქონლისაგან ის სოფლები, რომელიც-კი ახლო-მახლო მდებარეობს ბარის ოსებთან; ქურდობა მუდამ წელს უფრო ვრცელდება ხოლმე შემოდგომის დაწყებიდამ, როდესაც ოსებში ესრედ წოდებული „ხარნაგები“ იწყობა. „ხარნაგისათვის“ საკლავია საჭირო, ჭაი ოსებიც მოდიან ქართლის სოფლებში და მიერეკებიან ხარებს, ძროხებს და სხვა საქონელს, რაც-კი ხელად მოხვდებათ. გაწყალებული არის ეს სოფლები; რა ხუმპრობაა, რომ ყოველ წლივ საწყალს გლეხს აკლდებოდეს ხუთი-ექვსი თუმნის საქონელი; რა საკვირველია, მეურნეობა დაეცემა, ხალხი ეკონომიურად დაიჩაგრება და გაწყალდება. არა გვეშველა-რა, ვერა ნაირად ვერ მოხერხდა ამ ოსების ალაგმვა.

*** დუშეთი: ჩვენს მაზრის ერთს სოფელში სწორედ რომანის საშინაარსო ამბავი მოხდა: ერთმა მოხელემ ცოლი შეირთო ამას წინად. გამოხდა ცოტა რამ ხანი, ქალმა შეიყვარა თვისის შვილის მომნათელი, ამხანაგი თავისის ქმრისა, ისიც მოხუცი კაცი, ვიღაც უცხო ტომისა და გვარისა. ამ ამბავმა ხალხი ძლიერ ააღელვა; აქეთკენ, მოგეხსენებათ, ამისთანა ამბავი ძლიერ იშვიათია. გამიჯნურებულნი მალე გაიპარნენ სხვა სოფელში; ქმარმა გამოაცხადა ეს ამბავი; პოლიციის დახმარებით ცოლი ქმარს გამოატანეს, მაგრამ გზაზედ ჩხუბი აუტყდათ და გაბრაზებულმა ქმარმა მიჯნური თავის ცოლისა (ერთად მოდენილან) თურმე დასჭრა. უჩივლეს, მაგრამ ქმარი გამართლდა. წაართვა, წაართვა ცოლი საყვარელმა. მაგრამ ქმარი ამას არა დარდობს. არ გაუვლია სულ რამდენისამე ხანსა, რომ ქმარი თავის თანამდებობიდამ დაითხოვეს, და იმისს ადგილზედ დანიშნეს იმის ცოლის მიჯნური. აქ ეს ამბავი ყველას გვიკვირს და გვეოცება.

*** გორი: სარწმუნო წყაროდამ შევიტყეთ, რომ მალრანდოვრეთში (გორის მაზრაშია) შემდგარა ავაზაკთა დასი. ამ დასში ურევიან: განთქმული ავაზაკი ვარდანა ხეთაგური, რომელიც ცომბირიდამ გამოიქცა და ეხლა-ხან დაჭერილის ავაზაკების ტატე ჯიოშვილის და სანდრო ხუბულურის ძმები; ესენი ი

ამავე პიესის წარმოდგენაზედ დამსწრენი და გუშინ-წინაც თეატრში მყოფნი დიდად უკმაყოფილნი დარჩნენ. არას ვიტყვით იმ არტისტებისას, რომელნიც ეხლანდელს ოლებს შარშანაც თამაშობდნენ, რადგან მათ შესახებ უკვე ნათქვამი გვქონდა და გამეორებად აღარა ღირს, მით უმეტეს, რომ ერთ გვარნი იყვნენ და მაგდენად არაფერი ცვლილება არ შეგვიმჩნევია. მხოლოდ ქ-ნი ავალიშვილისა უფრო სუსტი სჩანდა საერთოდ სიათას როლში, ესეც ალბად იმიტომ-რომ გარეშემო ყველანი სუსტობდნენ და იმასაც უხდენდნენ თამაშობას, კვალში ვერ მისდევდნენ.

სოფიო, თევდორე სანდოშვილის ცოლი, (ქ-ნი ჩერქეზიშვილისა) და ალექსი, მისი ვაჟიშვილი, (ბ-ნი გუნია) დიდად სუსტობდნენ და თავისი როლიც-კი, როგორც ეტყობოდათ, კარგად ვერ გამოერკვიათ. ვერც ერთს გარკვევით ვერ გაეთვალისწინებინა ის ადამიანი, რომლის მაგიერობაც უნდა გაეწია დრამაში და რომლის სული და გული უნდა დაენახვებინა მაყურებლისათვის, რაღაც აჩრდილს ეპოტინებოდნენ, მაგრამ არა გამოდიოდა-რა და ეს პოტინი მაყურებელს ილიუზიას სრულიად უხდენდა. პირველმა იმიტომ ვერ შესძლო (თუმცა ალაგ-ალაგ არა უჭირდა-რა) სოფიოს როლის წარმოდგენა, რომ მისი როლი არ იყო და ძალა-უნებურად გამხდარიყო იძულებულ, ეს როლი ეკისრნა; მეორე-კი, ალექსი სანდოშვილი,—ისეთი როლია, რომ ძნელად თუ თვით საუკეთესო და ნიჭით ალსავსე არტისტმაც-კი მოახერხოს რამე და ადამიანური სახე დასდოს. ალექსი სანდოშვილი ავტორის ოცნებით შექმნილი სახეა და თვით ნიჭიც-კი ძნელად შეასხავს ხორცს და ძნელად დაამსგავსებს ამ ქვეყნიურს ადამიანს.

ალექსის ძმები უფრო პაწია ბიჭებსა ჰგავდნენ, ვიდრე ვაჟკაცებს. საზოგადოდ მთელი ჯარიც სულ პატარა ბიჭებისაგან იყო შედგენილი, და იმაზედ ცუდი საყურებელი ხომ არა არის-რა, როდესაც თორმეტის წლის ყმაწვილს სამოცის წლის მოხუცის ჭაღარა წვერ-ულვაში აქვს გაკეთებული. აღამამედს ენა ებმეოდა და სულთანის ფირმანიც-კი ისე წაიკითხა, თითქოს ენა ბლუ ჰქონდესო. სულეიმან-ოღლის ხუთი სიტყვაც ვერ დაესწავლა რიგიანად და სიტყვები აკლდებოდა ლაპარაკის დროს. სარდალი კარგი იყო და ლამაზადაც სთქვა თავის სათქმელი, მხოლოდ ტანი არ შეეფერებოდა სარდლობას...

საერთოდ პიესამ ისე ჩაიარა, რომ ძნელად თუ ვინმე მოიზიდოს, კიდევ რომ დაჰნიშნონ წარმოსადგენად.

მანოელიძე

დაბა ᲓᲘᲡᲝᲤᲔᲚᲘ

(მოწერილი ამბავი)

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ამას წინად ივერიაში მოხსენებული იყო ის უცნაური ამბავი, რომ დილის 9—10 საათზე ორი ცხენოსანი ავაზაკი ქუჩაზე თავს დაესხნენ ხაზინის მოსამსახურეთა, რომელთაც ფოსტიდგან 75 ათასი მანეთი ფული მიჰქონდათ ხაზინაში. ეს საქმე იმდენად უცნაური, არა-ჩვეულებრივი, განსაცვიფრებელი რამ იყო, რომ საზოგადოებაც მეტად აოშფოთა და პოლიციაც დაოფაცურა. გამოძიება ამ საქმისა სასამართლომ მიანდო ბ-ნს ლევაშოვს განსაკუთრებით მძიმე საქმეთა გამომძიებელს. ამბობენ, ეროთომ გამოძიებას უკვე აღმოეჩინოს კვალი ავაზაკთა, ალალ აეღოს ზოგიერთზე და იმედი ჰქონდეს, რომ ამ მოკლე ხანში ნამდვილს ავაზაკებს ხელს ჩასჭიდეს. საზოგადოებაში თანდათან ის აზრი ვრცელდება, რომ ეროთისა და იმავე ავაზაკთა დასის საქმეა ასათიანის მოკვლაც სოფ. ქვიტირში, ბ-ნ ჩიკვაიძის სახლობის გაძარცვაც რაჭაში და ბოლონდელი ამბავიც, რომელიც ამ თვის 11-ს მოხდა და რომ მხეადართ-მთავარნი ამ თავზედ ხელაღებულის და თავვასულის დასისა შიგ ქუთაისში უნდა ბუდობდნენ და აქედგან უნდა სპასალარობდნენო. ჯერ-ჯერობით ამის შესახებ დაბეჯითებით ვერაფერს მოგახსენებთ, ხოლო ის-კი შეგვიძლია, გიამბოთ, რომ მთავრობამ ამ რამდენისამე დღის განმავლობაში ოთხი ავაზაკი შეიპყრო, რომლებიც დიდი ხანია ქუთაისის ახლო-მახლო დაფარფაშობდნენ და რომლებიც მრავალ ავაზაკობის ჩამდენნი უნდა იყვნენ. სამაზრო პოლიციამ შეიტყო თურმე, რომ რამდენიმე ავაზაკი ამა-და-ამ დღეს თავ-შეყრილი იქნება სოფ. ოფურჩხეთში, აზნაურ იოსელიანის სახლშიო, და თადარიგი მოახდინა იმათ შესაპყრობლად. პოლიციის მისვლისათანვე ორმა ავაზაკმა თავს უშველა, ხოლო ერთი მათგანი—კირკიტაძე შეპყრობილ იქმნა. მეორე ავაზაკი, სახელდობრ ლევიძე, რომელმაც იოსელიანის სახლიდგან თავი დაადწია, სოფ. ბანოქაში, ქუთაისის მახლობლად, გლეხმა კოლოშვილმა შეიპყრა. თურმე შეთოფ-იარაღებული ლევიძე გზაზე შეეფეთა კოლოშვილს და ჰკითხა, ქუთაისისაკენ რა გზით წავიდეო. კოლოშვილმა უპასუხა, ამა-და-ამ გზით წადიო, ხოლო მიხვდა-კი, რომ ეგ შეთოფ-იარაღებული, ფეხშიშველი და უქუდო კაცი ბოროტი ვინმე უნდა იყოსო, და გვერდს აუარა თუ არა, მიჰვარდა ლევიძეს ზურგიდგან და მკლავებში ჩასჭიდა ხელი. კოლოშვილის ძახილზე სოფლელები მოგროვდნენ და ლევიძე შეჰბოჭეს თოკებით. აბობენ, ქუთაისის ადმინისტრაციას განზრახავა აქვს, ამისთანა ვაჟკაცობისათვის კოლოშვილი ჯილდოზე წარადგინოსო. ლევიძე უკვე გამოტეხილა და უთქვამს, რომ რამდენიმე კაცი ვართ გავარდნილი და მრავალი ავაზაკობა ჩადვიდენიაო, სხვათა შორის მე მღვდელი მორჩაძე დავეფერე ტ გავძარცვეო და შორაპნის მაზრაში მღვდელს ფერაძეს რამდენიმე ათასი მანეთი წაეართვიო, ხოლო ასათიანის მოკვლასა და გაძარცვაში წილი არ მიდეესო. 25-ს ამ თვისასს, ქუთაისის მახლობლადვე, გლეხებს კიდევ ორი ავაზაკი შეუპყრიათ; ერთი ამათგანი, როგორც გვიამბეს, ვინმე სიმონ ღლონტია, რომელსაც სასამართლომ კაცის მოკვლისათვის რამდენისამე წლით კატორღა დაუნიშნა, მაგრამ სასჯელისათვის თავი დაუღწევია. ეს ღლონტი და მასთან ერთად შეპყრობილი ავაზაკი, როგორც ამბობენ, ლევიძის და კირკიტაძის ამხანაგები და თანამშრომელნი არიანო. ამ სახით, რამდენიმე ავაზაკი სამართალს ხელში ჰყავს, ხოლო, როგორც ისმის, ამათ გარდა, აქა-იქ რამდენიმე სხვა კიდევაც უნდა ბუდობდესო.

წერილი ამბავი

პირველი ბრძანება ალფონს XIII. 5-ის წლის ისპანიის მეფეს ალფონსს XIII ამას წინად უთქამს ერთს სრტილერიის ოფიცრისთვის „საცა ომი გაკეთებნა და მსურს, რომ ისპანიის საზღვარზე ვიდეე რამდენიმე ტასე იფოს აშენებულიო“.

— ამერიკაში კეთრობით აღარძალუნდა წარმოდგენების გამართვა. გრან რაპიდსში, მიჩიგანის შტატში, ერთს დრამატიულს საზოგადოებას მანტ გაუბრანაკეს წარმოდგენის გამართვა. კეთრ დღით საქმე ჯერ კარგად წასულა, ბილეთები სულ გაყიდულა, მაგრამ დაწყებულა თუ არა წარმოდგენა, სტენაზედ ასულა ბოდიანი და თეატრის დირექტორი და ათი არტისტი შეუშვია.

— ფრანგების ჯარის აღდგომების დროს ეიტრი-და-ფრანსეში 50,000 ფრანკის ღირებული სასთუმა, ქისებით ფული და სხვა ნიკოები დაკარგულა. რეინის ქეჩებში 150 დაცალიერებული ფულის ქასა უპოვნიათ.

— ჰავანაზედ ეწერა ფიდა სულ მთელი ბეგუნა ბეკეკრეკ შემდეგის ამბით. ამას წინად მეგობურნის უნიკერსიტეტში მშეკნიერად დაუწერია გამოსაცდელი ეგზამენი ერთს 17 წლის ქალს მატიდგან ასტოს, რომელიც დაბადებით ბრმა ყოფილა. ამ ახალგაზრდა ქალს მშეკნიერად სეოდნა: ფრანგიული და ინგლისური ენა, მთუმტიკა, გეოგრაფია, ისტორია, ფიზიოლოგია და ბოტანიკა. მატიდგან, რა თქმა უნდა, უნიკერსიტეტში მიუღიათ.

მეგობურნის მეცნიერებლებს ამ სტუდენტ ქალისთვის დიდი თანაგრძნობა გამოუცხადებიათ და ამდენი ფული შეუგროვებიათ მატიდგანისთვის, რომ უნიკერსიტეტის კურსის დამთავრებამდე ადვილად ეყოფა თურმე.

— ეი რამდენიმე ხანეულ ადგილ ამბავ, ამის შესახებ, თუ რა სეოლობისანი ყოფილან სასტენო ასპარეზზე გამოსულიყვნენ. ამ ამბავ, ეს ამბავ, ეს ამბავ, ეს

— როგორ თუ კარი? რათა?

— კარია, მაშ კინ არის, გერა სედა, დამის აქე გამთიაკოს, ისე ამსანეკებს ჩემს სიმფონიასა, უმსიუს აბკმა.

ᲓᲔᲞᲔᲨᲘ

25 სექტემბერი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. „Нов. Вр.“ იუწყება გაგონილს ამბავს, რომ დანის მეფე მეუღლითურთ ოქტომბერში პირობს ყირიმში წამობრძანებასაო.

გაზეთები იუწყებიან, ოქტომბრის დამლეგს შემოღებულ იქნება ახლად დაწესებული გარდასახადი ნავთის გადატან-გადმოტანაზეო.

როგორც ხმა ისმის, ამ ჟამად სამხადლისში არიან, რომ ახალი სავაპრო ხელშეკრულობა დასდონ იტალიასა და საფრანგეთთან. ამ ქვეყნების ზოგიერთს საქონელს, რომ შეღავათი აქვს მინიჭებული, სახელდობრ იმ საქონელს, რომელსაც არ შეუძლიან შეავიწროვოს რუსეთის მრეწველობა, ამის სამაგიეროდ, ახალის სავაპრო ხელშეკრულობის, ძალით შეღავათი მიეცემა რუსეთსაც ხსენებულს ქვეყნებში პორისა და სხვა საქონლის გზავნაში.

ᲨᲢᲣᲢᲒᲐᲠᲓᲢ. ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილია მანიფესტი ვილჰელმ II-ისა, ტახტის მემკვიდრეობის კანონის ძალით ვიწყებ სამეფოს (ვიტერმბერგის) მართვასაო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. წუხელ ბრაიტონში გარდაიცვალა მეთაური ირლანდიელთა დასისა პარნელი. პარნელი პარასკევს გაცივდა და ქარები გაუჩნდა. სიკვდილის რამდენისამე ხნის წინად გრძნობა მიეხადა. მოულოდნელმა სიკვდილმა პარნელისამ დიდად შეაწუხა დუბლინელნი.

26 სექტემბერი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გუშინ წარსდგა ფინანსთა მინისტრის წინაშე დეპუტაცია ბანკებისა: გამნაღდებელისა, საერთაშორისოსი, ვოლგა-კამისა და რუსეთის საგარეო ვაჭრობისანი, მიართვა აღრესი და განაცხადა, გვსურს, რომ თითოეულმა ბანკმა წლეულს 12,500 მ.—სულ 50,000 მაწათ გადავდოთ მოუსავლობით დაზარალებულ ხალხისთვისაო. მინისტრმა მადლობა გარდაუხადა დეპუტაციას, მოიხსენია სხვა მრავალი უხვი შემოწირულებაც და სთქვა, ხელმწიფე იმპერატორს მოვახსენებ ბანკების ასეთს სასიქადულო ქცევასაო.

„Нов. Вр.“ იუწყება, მთავარგამგეობა საპატიმროთა წლეულს და მერმისს აპირობს საევროპიო რუსეთის ყოველს გუბერნიაში ცვლილებანი შემოიღოს საპატიმროებში და დაიწესოს სასაპატიმრო ექსპედიცია რუსეთის განაპირა ქვეყნებში.

ᲕᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 24 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

	ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ.	ᲛᲔᲠᲛᲔᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ.	ᲛᲔᲠᲛᲔᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7, 54	7, 57	— ,,
ტამოფნის კუპონები .	150½	151½	— ,,
ძანეთიანი ვერცხლის თეული	1, 14	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგახის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	237¾
—მეორისა	221	— ,,	— ,,
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავადაზნაურთის ბანკის ფურცელი, . , , ,	209	— ,,	211¾
ტირანგობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა . .	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის საერთაშორო ნდობის საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

ᲖᲘᲛᲝᲬᲚᲔᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲒᲘᲡᲐ ᲨᲐᲕᲡ ᲖᲚᲘᲐᲖᲔ

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღეკის 4 სსთზე მოკლე გზით და ნოეორაოსიისკენ და კერძში შეიკლის.

შაბათობით საღამის 8 სსთზე შორის გზით (ეკლდა ნაუთ-სადგურში შეიკლის).

კვირაობით, საღამოთი, სუზეკარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამუშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკევობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერძსა და ნოეორაოსიისკენ შეიკლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—ამის შემდეგ, როცა სოხუმიდან მოდის ეკლი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 სსთზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის ეკლეს.

შაბათობით, დილის 9 სსთზე, და მასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ეიზრიმისა და რუმელიის ანატოლიაკენ წამსვლელ ეკლებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი ეკლი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სსაკენტო გადასწეკეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდ ეოკეკ-კეკრ ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნაკო-სადგურებიდან გადასწეკეტილს კვანზე ეკლები.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

კვირას, 29 სექტემბერს, ქართულ დრამატულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება

ᲐᲚᲘᲐᲥᲝᲗᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ

კოდეკილი 3 მოქ., ანაზაძისა.

II

ᲪᲮᲝᲚ-ᲥᲛᲠᲝᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ

კოდეკილი 1 მოქ., დ. აწეურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა; ბ-ნი აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, შთიროვი, თამაზიშვილი, საფაროვი და სხვა.

დასაწყისი $7\frac{1}{2}$ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

გამოვიდა მთავრობის მიერ მოწონებული

„ᲐᲜᲑᲐᲜᲘ ᲛᲨᲝᲒᲚᲘᲡ ᲔᲜᲘᲡᲐ“

წერა-კითხვის შესასწავლად პირველ დაწყებითს სკოლებსა და ოჯახებში, შედგენილი ზ. გულისაშვილისაგან, მრავალის სურათებითა და ნახატისა და ნაწერის ნიმუშებით. ისყიდება ამხანაგობის წიგნის მაღაზიასა, გრიქუროვის მაღაზიაში, გორში არსენ კალანდაძესთან და ქუთაისში წერეთლების მაღაზიაში.

ფასი ერთი აბაზი.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲛ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

	მან.	კაპ.
თხზულება ალ. ყაზიბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკა და ელისო	1	20
ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . .	1	20
ტომი III, მოძღვარი და ციცია	1	20
საუნჯე, მ. ჯანაშვილისა.	„	20
ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . .	„	30
სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა.	1	„
„ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი	„	30
ავაზაკი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . .	„	30
სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა.	„	20
დავით ალმაშენებელი, დრამა.	„	40
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი	„	30
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ.	„	30
ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . .	„	30
რამდენი ერ ლექსი ცახელის	„	15
თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . .	2	„
ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . .	8	„
ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . .	3	„
გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან	1	„
წინამძღვარი ზეცისა . .	„	50
წმიდათა ცხოვრება . .	1	20
იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა	„	40
სიბრძნე კაცობრივი . .	1	„
ბრძენი	„	30
მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით.	„	50
მოკლე ფრანგული გრამატიკა	„	40
მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღეანდლამდე, ყდით .	1	20

Ა. ᲠᲐᲚᲚᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲘᲜᲯᲐᲠᲐᲦᲐᲠᲘ

ᲐᲮᲐᲚᲗ-ᲐᲮᲐᲚᲘ

ᲡᲐᲙᲝᲜᲘ

მე-XX საუკუნისა
თეთრი ისამანი
ყაზანლიკის ვარდი
ყრუახისა
საარზეუორო

ᲛᲔᲠᲛᲔᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ზამბახისა
სპარსეთის ისამანისა
თეთრის ისამანისა
მინდვრის ყვავილებისა
თათრულის თეთრის ოისა

ᲕᲐᲖᲔᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲘ—ᲕᲐᲖᲔᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა. 5—3—5

ᲘᲡ გამოსცემდება დაბეჭდილია „Прав. Вѣстн.“-ის 91 წ. 16 მარტის № 59 №-ში.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜ ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲞᲠᲔᲝᲑᲠᲐᲟᲔᲜᲡᲙᲘ

არსებს ელექტრონათა: ფარდისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზიკის სასეკს); არსებს ავრეთვე სიდამბლისაგან ურუდ, ბრმად და მუნჯად ნაკარნალთა.

ამის გარდ სწყმდოს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მაიღებს ოთუდ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პაპოვისა, ვარანცოვის ნომრების პირდაპირ. (10—8)

ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ „ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ-ᲥᲐᲚᲐᲥᲘ“

ᲙᲐᲕᲙᲐᲕᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡᲐ

ᲑᲐᲦᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲕᲔᲚᲘᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ, ᲡᲐᲮᲚᲘ 34

ამით აუწყებს ბ-ნ საქონლის მიმღებთა და გამგზავნთ, რომ კაკავის გზა, რომლითი მიმოსელა შეჩერებული იყო, ეხლა გაიხსნა და **ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲮᲝᲚ-ᲐᲮᲚᲐ ᲘᲚᲘᲔᲑᲘ** ყოველ გვარ საქონელს გასაგზავნად პირდაპირ კავკავზედ და აქედამ რუსეთის ყველა რკინის გზების სადგურამდე იმ წესითა და პირობით, როგორადაც წინად იღებდა.

საქონლის გაგზავნას სადგური იმნაირადვე ჰკისრულობს, როგორც რკინის გზების ყველა სადგური, ე. ი. მიიღებს გასაგზავნ საქონელს და ჩაბარებს მას მაღაზიებსა და საწყობებში და სხვა; ამისათვის არავითარი გადასახადი არ გადახდებათ და თუ საქონელი გაფუჭდა ან დანიშნულს ადგილს არ მივიდა, სადგური სრულს ფასს უზღვრს პატრონს.

(3—121—2)

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲕᲔᲚᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ,

Ე. ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ

დასტამბული წიგნები:

ა) „აღვადგინე“ ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, დამატებით მე IX-X საუკ. „სამეცნიერო ქრისტომატიდამ“ ამოღებულ „სამკურნალო ტრაქტატისა“ და „სასწავლო წიგნისა,“

ბ) მწერლობა მე IX-X საუკუნისა, რომელშიაც დაბეჭდილია იგივ „სამკურნალო ტრაქტატი“ და „სასწავლო წიგნი“ გამომცემის წინასიტყვაობითურთ

გ) საუნჯე მე X საუკუნისა, ფასი 20 კაპ.

P. S. პირველი წიგნი დაიბეჭდა 300 ცალად, და ცალი ღარს 30 კაპ., ხოლო საუნჯითურთ 40 კაპ., მეორე წიგნი დაისტამბა 100 ცალად, და ცალი ღირს 40 კაპ., საუნჯითურთ აგრეთვე 40 კაპ.—შემოსული ფული გადაეღება ფონდად მე IX-X საუკუნის მწერლობის ნიმუშების საბეჭდავად.

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

ᲓᲐᲜᲘᲐ

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თვიურად ბევრი დაეთმობათ. საკმელი ახალი და გემრიელია. (36—86—26)

Дозв. ценз. Тифлисъ, 25-го Сентября 1891 г. სტამბა ᲨᲐ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲘᲡ. დროებითი რედაქტორი ᲒᲠ. ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲔ გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.